პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის -- ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს არენა“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს არენა“-ს ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს არენა“-ს ანგარიში 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს არენა“ -ს მიერ 2024 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი

,, წყალტუბო არენა''

კოდი 421268014 5400 ქალაქი წყალტუბო. 26 მაისის ქუჩა № 2

№ 49 6 ივლისი 2024 წელი

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ.

ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“ გიგზავნით ინფორმაციას 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 5 ფურცელზე.

პატივისცემით ა(ა) იპ ,,წყალტუბო არენას“

დირექტორი: ა. ვარდანიძე

ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“

2024 წლის I-II კვარტალის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

,,წყალტუბო არენას“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და მიზნებია:

ა) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონების (ცენტრალური და სათადარიგო) ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა–პატრონობა.

ბ) ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სტადიონებზე (ცენტრალური და სათადარიგო, საფეხბურთო ცენტრი, ბუნებრივსაფარიანი მინი სტადიონი) შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია და საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა-განვითარება.

დ) სპორტული ღონისძიებებისა და სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებისა და ჩემპიონატებისათვის სტადიონისა და ინფრასტრუქტურის მომზადება.

ე) სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ წყალტუბო არენას 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 იანვრის № ბ48.482401032 ბრძანებით ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 308 800 ლარის ოდენობით.აღნიშნულ პერიოდში განხორციელდდა ცვლილებები, კერძოდ ბიუჯეტი გაიზარდა 309 500 ლარით და გახდა 618 300 ლარი.

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას საშტატო ნუსხა და ხართაღრიცხვა იშიფრება შემდეგნაირად:

საშტატო ნუსხა - 27 კაცი. (ფაქტიურად დასაქმებულია 26 კაცი - ელექტრიკოსის და მუშის შტატზე დასაქმებულია ერთი პირი). აქედან 5 ქალია და 21 კაცი

1. ადმინისტრაციის ხელფასი გეგმით - 101 306 ლარი ფაქტიურად 99 711 ლარი.
2. მივლინება ქვეყნის შიგნით გეგმით - 1 000 ლარი ფაქტიურად 130 ლარი.
3. საკანცელარიო გეგმით -700 ლარი ფაქტიურად 428 ლარი.
4. კომპიუტერული პროგრამების შეძენა - 200 ლარი ფაქტიურად 0 ლარი.
5. კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა გეგმით -200 ლარი ფაქტიურად 60 ლარი.
6. საოფისე ავეჯი გეგმით -516 ლარი ფაქტიურად 0 ლარი.
7. სხვა საოფისე მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 1 730 ლარი ფაქტიურად 1 730ლარი.
8. რეცხვა,ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გეგმით - 800 ლარი ფაქტიურად 295 ლარი.
9. შენობა ნაგებობა მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 8 000 ლარი ფაქტიურად 5634,5 ლარი.
10. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი გეგმით - 2 000 ლარი ფაქტიურად 779 ლარი.
11. ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი გეგმით 405 ლარი ფაქტიურად 405 ლარი.
12. ელექტრო ენერგიის ხარჯი გეგმით - 7 500 ლარი ფაქტიურად 2 215 ლარი.

13. წყლის ხარჯი გეგმით - 10 119 ლარი ფაქტიურად 2 102 ლარი.
14. ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი გეგმით - 8 636 ლარი ფაქტიურად 2 165 ლარი.
15. რბილი ინვენტარის,უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი გეგმით - 3500 ლარი ფაქტიურად 1800 ლარი.
16. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი გეგმით - 5 500 ლარი ფაქტიურად 3 869,8 ლარი.
17. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი გეგმით - 5 100 ლარი ფაქტიურად 2 577 ლარი.
18. აუდიტორული მომსახურების ხარჯი გეგმით -1 000 ლარი ფაქტიურად 450 ლარი.
19. შხამქიმიკატების ხარჯი გეგმით - 6 200 ლარი ფაქტიურად 3 245 ლარი.
20. მინდვრის ბალახის ხარჯი(თესლი) გეგმით 9 950 ლარი ფაქტიურად 2 360ლარი.
21. მინდვრის სილა გეგმით - 6 300 ლარი ფაქტიურად 4 600 ლარი.
22. ფიზიკური პირის მომსახურება გეგმით - 17 500 ლარი ფაქტიურად 16 599 ლარი.
23. ფინანსთა ასოციაციის საწევრო გეგმით - 4 000 ლარი ფაქტიურად 4 000 ლარი.
24. სხვადასხვა მასალების შეძენა გეგმით -6 000ლარი ფაქტიურად 5 408 ლარი.
25. სპორტული მოედნის მოვლა მომსახურების შეძენა გეგმით - 126 168ლარი ფაქტიურად 105 138 ლარი
26. დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით გეგმით 2 200 ლარი ფაქტიურად 1 571 ლარი.

27. ხელოვნურსაფარიანი სთადარიგო სტადიონის გაქირავებით მიღებულმა ხარჯმა შეადგინა 298 ლარი. (2024 წლის 8 იანვარს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლასთან).

ჩვენს მიერ უზრუნველყოფილია საფეხბურთო კლუბი „ სამგურალის“ ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარების შეუხღუდავად უზრუნველყოფა.

კერძოდ, 2024 წლის 8 იანვრიდან განაახლა საწვრთნელი ვარჯიშები ძირითადი გუნდმა. 8 თებერვლიდან 22 თებერვლამდე გუნდი ზამთრის საწვრთნელ-სავარჯიშო შეკრებაზე იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში. გასულ წელს ძირითადი გუნდის ვარჯიშებს ატარებდა ძირითადად ნაქირავებ სტადიონზე ქალაქ ზესტფონში, ამჟამად კი ვარჯიშები ტარდება ახალ საფეხბურთო ცენტრში. ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო 1 მარტს და გუნდს ჩატარებული აქვს 9 საშინაო თამაში. აქედან 4 თამაში ჩაატარა ცენტრალურ სტადიონზე და 5 თამაში ჩაატარა საფეხბურთო ცენტრში.

19 -26 მარტს საფეხბურთო ცენტრში მიმდინარეობდა ევროპის 17 წლამდელთა ასაკობრივი ჩემპიონატის შესარჩევი ტური. ჩატარდა 4 ვარჯიში და 3 ოფიციალური თამაში დანიის, სერბეთისა და თურქთის გუნდების. ჩემპიონატისათვის მაღალორგანიზებულად ჩასატარებლად ჩვენს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სათანადო სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 2 ვიდეოაპარატურის პლატფორმა და ერთ არსებულს დაემატა ერთი სართული. ყოველდღიურად თამაშისთვის მზადდებოდა მინდორი და გასახდელები.

ჩვემმა საფეხბურთო ცენტრმა ჩემპიონატის მომზადებისა და ჩატარების მხრივ მაღალი შეფასება მიიღო უეფასა და სფფ-დან, მივიღეთ სიტყვიერი მადლობა.

2024 წლის 1 თებერვლიდან განაახლა ვარჯიშები სათადრიგო სამგურალი 2-ის გუნდმა და ასაკობრივი ლიგის გუნდებმა. სამგურალი 2 და 19, 17 წლამდელთა ორი გუნდი, 15, 14, 13, 12, 11, 10 და 9 წლამდელთა ასაკობრივი გუნდები ვარჯიშებობენ ხელოვნურსაფარიან სათადარიგო

სტადიონზე. ამავე მოედანზე ჩაატარებენ გუნდები ლიგა 4-ისა და ასაკობრივი ლიგის ჩემპიონატის საშინაო მატჩებს. ჩემპიონატი დაიწყო აპრილის თვეში.

სამგურალი 2-მა ჩაატარა 7 საშინაო მატჩი.
19 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 6 საშინაო მატჩი.
17 წლამდელთა ორივე გუნდმა ჩაატარა 9 საშინაო მატჩი.
15 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 5 საშინაო მატჩი.
14 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 5 საშინაო მატჩი.
13 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 4 საშინაო მატჩი.
12 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 4 საშინაო მატჩი.
11 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 4 საშინაო მატჩი.
10 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 4 საშინაო მატჩი.

პარალელურად ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშებს ატარებს სამოყვარულო გუნდი. ასევე პერიოდულად ვეხმარებით და სათადარიგო სტადიონზე ვარჯიშობს რაგბის გუნდი.

არენას სარგებლობაშია და ვუვლით ცენტრალურ სტადიონს, სადაც საშინაო თამაშებს ატარებს სამგურალის ძირითადი გუნდი, საფეხბურთო ცენტრს, სადაც ვარჯიშობს სამგურალის ძირითადი გუნდი, ასევე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონს, სადაც თამაშებს და ვარჯიშებს ატარებს სამგურალი 2-ის და ასაკობრივი გუნდები, ასევე მინი ბუნებრივსაფარიანი სტადიონი, სადაც ვარჯიშობს ასევე 10 და 9 წლამდელთა გუნდები.

არენას თანამშრომლებს მათ სარგებლობაში არსებული სტადიონების მოვლის მიზნით ყოველდღიური სამუშაოები არ შეუწყვეტიათ - სტადიონების მთელ პერიმეტრზე მოვლის მიზნით ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა - სათამაშო მოედნის სისტემატურად პარსვა (ყოველ მე-2, მე-3 დღეს), შხამქიმიკატების შეტანა, სილის შეტანა, დაჩხვლეტა, მინდვრის მორწყვები ყოველ მეორე-მესამე დღეს აგრონომის მითითების შესაბამისად.

ცენტრალურ სტადიონზე დამონტაჟდა მწვრთნელთა დასაჯდომები ახალ ადგილზე. შეისვალკა სავარჯიშო კარებები, შეიღება ოფისის და სანკვანძის შენობების გარეთა ფასადი, დასაჯდომების უკანა მხარის კედლები.

ხელოვნურსაფარიან სათადარიგო სტადიონზე დამონტაჟდა გარე განათების სისტემა.

ახალი სავარჯიშო მინი სტადიონის კარების უკანა მხარეს 35 მეტრზე გაკეთდა 60 სანტიმეტრი ხის დამცავი ბარიერი.

სისტემატურად მიმდინარეობს სტადიონების მიმდებარე გარე პერიმეტრის მოწყობა-გაწმენდა ცელით და სხვა ტექნიკით, მოსუფთავება და თამაშებისთვის მომზადება.

ჩვენის მხრიდან იგეგმება და ხორციელდება ყველა სამუშაო, რაც საჭიროა სამგურალის ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატების შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

ა(ა) იპ ,,წყალტუბო არენას" დირექტორი: ბ. ვარდანიძე

	ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენა"	2024 წლის დამტკიცებული გეგმა	2024 წლის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის გეგმა იანვრი-ივნისი	საკასო ხარჯი იანვრი-ივნისის თვის	საკასო ხარჯი ივნისის თვის
2	ხარჯები	308800	618300	336530	267271,1	50599,0
21	შრომის ანაზღაურება	209676	206144	101306	99711,0	17473,0
211	ხელფასი	209676	206144	101306	99711,0	17473,0
2111	ხელფასები ფულადი ფორმით	209676	206144	101306	99711,0	17473,0
21111	თანამდებობრივი სარგო	209676	206144	101306	99711,0	17473,0
22	საქონელი და მომსახურება	99124	409956	233024	165989	33126
222	მივლინებები	1000	1000	1000	130	0
2221	მივლინება ქვეყნის შიგნით	1000	1000	1000	130	
223	ოფისის ხარჯები	32324	87102	40806	15812,8	1892,3
2231	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	1000	700	700	428	
2232	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი		200	200		
2234	მცირეფასიანი საოფისე ტექტნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	300	200	200	60	0
22345	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	300	200	200	60	
2235	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	1350	2246	2246	1730	0
22351	საოფისე ავეჯი		516	516		
22353	სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი	1350	1730	1730	1730	
2237	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	1000	1000	800	295	78
2238	შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი	15000	15000	8000	5634,5	
2239	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	3000	5000	2000	779,0	45
22310	კავშირგაბმულობის ხარჯი	1524	910	405	405	105
	ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი	1524	910	405	405	105,0
22312	კომუნალური ხარჯი	9150	61846	26255	6482	1665
223121	ელექტროენერგიის ხარჯი	4500	17500	7500	2215	326
223122	წყლის ხარჯი	2650	22498	10119	2102	1154
223123	გუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	2000	21848	8636	2165	184
227	რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	3000	7000	3500	1800	
228	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	13900	18900	10600	6446,3	2236,2
2281	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	9000	10000	5500	3869,8	1048,7
2284	ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	4900	8900	5100	2577	1187,5

	ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენა"	2024 წლის დამტკიცებული გეგმა	წლის დაზუსტებული გეგმა	წლის გეგმა იანვრი-ივნისი	ხარჯი იანვრი-ივნისის თვის	ხარჯი ივნისის თვის
2210	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	48900	295954	177118	141800,0	28997,6
22108	აუდიტორული მომსახურების ხარჯი	1000	1000	1000	450	
221014	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	47900	294954	176118	141350,0	28997,6
	შხამქიმიკატები	9950	9900	6200	3245	720
	მინდვრის ბალახის ხარჯი(თესლი)	9950	9950	9950	2360	
	მინდვრის სილა	9000	9300	6300	4600	3000
	ფიზიკური პირის მომსახურება	15000	24500	17500	16599	3250
	ფინანსთა ასოციაციის საწევრო	4000	4000	4000	4000	
	სხვადასხვა მასალების შეძენა		6000	6000	5408	1000,0
	სპორტული მოედნის მოვლა მომსახურების შეძენა		231304	126168	105138,0	21028
27	სოციალური უზრუნველყოფა	0	2200	2200	1571	0
273	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	0	2200	2200	1571	0
2731	ფულადი ფორმით		2200	2200	1571	
	სულ ხარჯი	308800	618300	336530	267271,12	50599,04
	სულ ბიუჯეტიდან	308 800	618300	336530	267271,12	50599,04
	სუბსიდია	308 800	618300	336530	267271,12	50599,04

ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენა"-ს დირექტორი: /ა. ვარდანიძე/

საფინანსო -ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი /ნ. კეთილაძე/